პარმენ ლემონჯავა

მოსახლეობის ცხოვრების საერთო დონის გაანგარიშების მეთოდოლოგიის საკითხისათვის

მოსახლეობის ცხოვრების საერთო დონის ერთი, რომელიმე მაკროეკონომიკური მაჩვენებლით გამოხატვა შეუძლებელია, რადგან მას უჩვენებს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებელთა სისტემა, რომელიც ასახავს საერთოდ საზოგადოების განვითარების მოცემულ ეტაპზე _ მოსახლეობის საქონლისა და მომსახურების მოხმარების რაოდენობასა და ხარისხს.

რომელიმე ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების წარმოებისა და მოხმარების მოცულობა, ერთ რომელიმე მაკროეკონომიკურ მაჩვენებელში აბსოლუტური მონაცემებით გამოხატვა ვერავითარ რეალურ წარმოდგენას ვერ იძლევა მთლიანად მოსახლეობის ცხოვრების საერთო დონის სიდიდეზე. ამის საილუსტრაციოდ ავიღოთ ასეთი პირობითი მაგალითი. ვთქვათ საქართველოში 2010 წელს წარმოებული იყო _ 100000 ტონა ხორბალი, ხოლო ჩინეთში _ 9 მლნ. ტონა. თუ იმპორტს არ მივიღებთ მხედველობაში ამ მონაცემების მიხედვით ერთ სულ მოსახლეზე ხორბლის მოხმარების მაჩვენებელი საქართველოში იქნება _ 18 კილოგრამი, ხოლო ჩინეთში კი _ 7 კილოგრამი, რადგან ჩინეთის მოსახლეობის რაოდენობა დიდად აღემატება საქართველოს მოსახლეობას. როგორც ჩანს, ეს მონაცემები მოსახლეობის ცხოვრების მთლიან მდგომარეობას ვერ ასახავენ. სწორედ ამიტომ აღვნიშნავ, რომ ის კომპლექსური მაჩვენებლით უნდა გამოიხატოს.

მოსახლეობის ცხოვრების საერთო დონის გაანგარიშების დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული განათლებისა და კულტურის განვითარების, სამედიცინო და საკურორტო მომსახურების დონე, ბუნებრივი პირობები, ბინით უზრუნველყოფა, მოსახლეობის ერთ სულზე რეალური შემოსავლის მოცულობა, კვების პროდუქტების, სამრეწველო საქონლის, მომსახურების მოცულობა, სტრუქტურა, ფასების დონე და დინამიკა, კომუნალური და სატრანსპორტო მომსახურების ტარიფები, დასაქმება, სამუშაო დღისა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და ა.შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მონაცემების გათვალისწინებით საზოგადოების განვითარების ნებისმიერ ეტაპზე პრაქტიკულად უნდა იწარმოოს მოსახლეობის ცხოვრების საერთო დონის გაანგარიშება.

მოსახლეობის ცხოვრების საერთო დონის გაანგარიშებისათვის გამოიყენება «სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი)", რომელიც არის ტიპიური მომხმარებლის მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების საერთო ღირებულების მაჩვენებელი და გაიანგარიშება ფორმულით:

$$sfi = \frac{mimdinarewlis\ fasebi}{sabazisoperiodisfasebi}$$

სამომხმარებლო ფასების ინდექსი ის მაჩვენებელია, რომელიც უფრო რეალურად და არსებითად უჩვენებს ფულის მსყიდველობით უნარიანობასაც.

იმისათვის, რომ გავიგოთ თუ როგორ გამოიყენება სამომხმარებლო ფასების ინდექსი, მოსახლეობის ცხოვრების საერთო დონის გაანგარიშებისათვის, უპირველეს ყოვლისა საჭიროა, «სამომხმარებლო ფასების ინდექსის" სტრუქტურის განხილვა და ანალიზი. სამომხმარებლო ფასების ინდექსი გამოხატავს საქონლისა და მომსახურების თანაფარდობას ორ სხვადასხვა დროში.

სამეურნეო პრაქტიკაში «სამომხმარებლო ფასების ინდექსი" პრაქტიკულად გვიჩვენებს, რომ როცა იზრდება საზოგადოების «სამომხმარებლო ფასების ინდექსი", მაშინ ყველა ტიპიურ ოჯახს უხდება უფრო მეტი ფულის დახარჯვა წინა პერიოდის ცხოვრების დონის შენარჩუნებისათვის. აქედან გამომდინარე, სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშება ნებისმიერ ქვეყანაში იყო და არის მნიშვნელოვანი მომენტი. ამიტომაა, რომ «აშშ შრომის სტატისტიკის ბიურო", ყოველთვიურად ანგარიშობს თავის ქვეყნის «სამომხმარებლო ფასების ინდექსს" და აქვეყნებს საჯაროდ.

სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების დროს «შრომის სტატისტიკის ბიურო" პრაქტიულად იყენებს საქონლისა და მომსახურების ათასობით სახეობის ფასების მონაცემებსა და ტიპურ მომხმარებელთა ხუთ საფეხურიან გამოკითხვის მეთოდს.

- სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების პირველ საფეხურზე წარმოებს იმ ფასების განსაზღვრა, რომელიც ყველაზე მისაღებია ტიპიური მომხმარებლებისათვის და მის საფუძველზე სასურველ საქონელთა კალათის მოძებნა;

- სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების მეორე საფეხურია კალათის შემადგენელი თითოეული საქონლისა და მომსახურების ფასების განსაზღვრა დროის თითოეული პერიოდისათვის;

- სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების მესამე საფეხურია, ფასების მონაცემების გამოყენება სხვადასხვა დროს საქონლისა და მომსახურების კალათის ღირებულების გასაანგარიშებლად. ფაქტიურად, აქ წარმოებს საქონლისა და მომსახურების კალათის ღირებულების გაანგარიშება;

- სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშების მეოთხე საფეხურზე წარმოებს, რომელიმე წლის, საბაზისოდ არჩევა;

- სამომხმარებლო ფასების ინდექსის მეხუთე საფეხურზე წარმოებს წინა წლის ინფლაციის დონის გამოთვლა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აშშ «შრომის სტატისტიკის ბიურო" სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშებისას იყენებს საქონლისა და მომსახურების ათასობით სახეობის ფასების მონაცემებს, მაგრამ ამ სტატისტიკის სტრუქტურის სრულყოფილი შესწავლისათვის, შეიძლება გამოყენებული იქნას მარტივი შემთხვევა, როდესაც მომხმარებლები ყიდულობენ მხოლოდ ორ საქონელს.

ამის საილუსტრაციოდ ავიღოთ ასეთი პირობითი მაგალითი. ვთქვათ, მიღებული მონაცემებით, საბაზისო 2009 წელს სამომხმარებლო ფა-

სების ინდექსი იყო 1000 ლარი. დავუშვათ, რომ 2010 წელს სამომხმარებლო ფასების ინდექსი გაიზარდა და გახდა 1175 ლარი, ეს იმას ნიშნავს, რომ 2011 წელს სამომხმარებლო სასაქონლო კალათის ღირებულებამ[1] _ 1175 ლარს მიაღწია. თუ 2011 წელს სამომხმარებლო ფასის ინდექსი გაიზრდება, ვთქვათ _ 250-მდე, მაშინ სასაქონლო კალათის ღირებულებაც _ 2011 წელს გაიზრდება _ 250 ლარამდე და ა.შ.

«სამომხმარებლო ფასების ინდექსის" პროცენტული ცვლილება ასევე გვიჩვენებს წინა წელთან შედარებით ინფლაციის დონის ცვლილებასაც. ასე, მაგალითად, თუ სამომხმარებლო ფასების ინდექსი _ 75%-ით გაიზარდა 2008 წელს 2007 წელთან შედარებით, ხოლო ასევე _ 43%-ით 2009 წელს 2008 წელთან შედარებით, მაშინ ფაქტიურად დაფიქსირდება, რომ 2007 წელს ინფლაციის დონე იყო _ 75%, ხოლო 2009 წელს კი _ 43%.

ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული სამომხმარებლო ფასების ინდექსისა და ინფლაციის დონეების გაანგარიშებისათვის გამოყენებულია მარტივი მაგალითები, მაგრამ ისინი მაინც გვიჩვენებენ თუ როგორ ანგარიშობს შრომის სტატისტიკის ბიურო ისეთ ცვლადებს როგორიცაა: «ცხოვრების საერთო ღირებულებას", «სამომხმარებლო ფასების ინდექსს" და «ინფლაციის დონეს". განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანად მაკროეკონომიკის მასშტაბის გარდა «სამომხმარებლო ფასების ინდექსის" გაანგარიშება შეიძლება ქვეყნის რეგიონებისა და საქონელთა და მომსახურების ცალკეული სახეობების მიხედვითაც და ა.შ.

შრომის სტატისტიკის ბიურო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აგრეთვე, საწარმოო ფასების ინდექსების გაანგარიშებასა და დაფიქსირებას, რომელიც არის ფირმების მიერ საქონლისა და მომსახურების სასაქონლო კალათის შეძენაზე დანახარჯების მახასიათებელი.

მოსახლეობის ცხოვრების საერთო დონის გაანგარიშებისათვის გამოიყენება, როგორც «სამომხმარებლო ფასების ინდექსი", ისე მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) დეფლატორი. მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი გაიანგარიშება ნომინალური მშპ-ის რეალურ მშპ-თან შეფარდებით და ასზე გამრავლებით. მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორი გვიჩვენებს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, რომელიც სამომხმარებლო საქონელთა ფასების ზრდითაა განპირობებული და არა წარმოების მოცულობის გადიდებით. ორივე მაჩვენებელი, როგორც წესი, ემსახურება ერთ მიზანს და გვიჩვენებს ერთსა და იმავე მიზნის შედეგს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მაჩვენებლებს შორის მიზნის თვალსაზრისით მსგავსება არსებობს, მათ შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებაც. «მშპ-ის დეფლატორი" ადგილობრივი წარმოების ყველა საქონლისა და მომსახურების ფასებს ასახავს, ხოლო «სამომხმარებლო ფასე-

[1] სამომხმარებლო სასაქონლო კალათის ღირებულება გულისხმობს იმ საქონელთა და მომსახურების ღირებულების ჯამს, რომელიც საჭიროა გარკვეული პერიოდისათვის ტიპიური ოჯახების ცხოვრების ნორმალურ პირობებში უზრუნველყოფისათვის.

ბის ინდექსი” კი მომხმარებელთა მიერ შეძენილ ყველა საქონლისა და მომსახურების ფასებს. მაგალითად, თვითმფრინავი, რომელსაც ფირმა «ბოინგი” აწარმოებს და საჰაერო ფლოტი ყიდულობს მიუხედავად იმისა, რომ თვითმფრინავი მთლიანი შიდა პროდუქტის ნაწილია, მაინც არ შედის სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების საქონელთა კალათაში, რომელსაც ტიპიური მომხმარებელი ყიდულობს. აქედან გამომდინარე, ფასების ეს ზრდა შეცვლის მხოლოდ მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორის სიდიდეს, ხოლო «სამომხმარებლო ფასების ინდექსი” უცვლელი დარჩება, რადგან ტიპიური მომხმარებელი არ ყიდულობს მას. განვიხილოთ მეორე მაგალითიც. ვთქვათ «ვოლვო”, რომელიც იწარმოება შვედეთში მისი მწარმოებელი ფირმა ფასს ზრდის. «ვოლვო”, ვინაიდან შვედეთში იწარმოება, ამიტომ ის შეერთებული შტატების მთლიან შიდა პროდუქტში არ შედის. იმის გამო, რომ ამერიკელი მომხმარებელი ამ ავტომობილს იმპორტირებულს ყიდულობს ის ტიპური მომხმარებლის სასაქონლო კალათის ნაწილია. აქედან გამომდინარე, იმპორტირებული ავტომობილის ფასის გაძვირება მოქმედებს «სამომხმარებლო ფასების ინდექსზე” და არ მოქმედებს მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორის სიდიდეზე. განვიხილოთ მესამე ასეთი მაგალითიც. ნავთობის ფასი აშშ-ში იზრდება იმის გამო, რომ ნავთობის და ნავთობპროდუქტების _ ბენზინი, მაზუთი და სხვა ძირითადად შუა აღმოსავლეთიდან შემოაქვს. იზრდება სამომხმარებლო ხარჯები და შესაბამისად ფასები. ამის გამო იზრდება «სამომხმარებლო ფასების ინდექსი”. აქედან ცხადია, სამომხმარებლო ფასების ინდექსი მეტია, მთლიან შიდა პროდუქტის დეფლატორზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამომხმარებლო ფასების ინდექსსა და მთლიან შიდა პროდუქტის დეფლატორს შორის არსებული განსხვავება საყურადღებოა, რადგან სამომხმარებლო ფასების ინდექსისა და მთლიან შიდა პროდუქტის დეფლატორის ხვედრითი წილი ფასების საერთო დონის გამომხატველ მაჩვენებელში სხვადასხვაა. ეს განსხვავებული ხვედრითი წილი განპირობებულია იმით, რომ «სამომხმარებლო ფასების ინდექსში” საქონლისა და მომსახურების კალათის უცვლელი ფასი შედარებულია საბაზისო წელს ამავე კალათის საქონლისა და მომსახურების უცვლელ ფასთან. ცნობილია, რომ შრომის სტატისტიკური ბიურო ამ სასაქონლო კალათის ფასს ძალზე იშვიათად ცვლის. სამომხმარებლო ფასის ინდექსთან შედარებით მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორში მიმდინარე პერიოდში წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფასები შედარებულია საბაზისო წელს ამავე საქონლისა და მომსახურების სასაქონლო კალათის ცვალებად ფასთან. ამის გამო, მშპ-ის დეფლატორში გამოყენებული საქონლისა და მომსახურების სახეობის ფასი გარკვეული პერიოდის შემდეგ ავტომატურად იცვლება. ამ მიზეზით სამომხმარებლო ფასების ინდექსსა და მშპ-ის დეფლატორს შორის არსებულ განსხვავებისადმი ყურადღების გამახვილებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

მოსახლეობის ცხოვრების საერთო დონე დამოკიდებულია საბანკო სარგებლის განაკვეთზეც, რომელიც დაკავშირებულია ინდექსაციის პრო-

ცესთან. როდესაც რომელიმე პიროვ-ნება თანხას ბანკში დებს, მაშინ მას ბანკი უხდის სარგებელს (პროცენტს), ხოლო როცა პიროვნებას გამოაქვს ბანკიდან სესხი საჭიროებისათვის, მაშინ ის უხდის სარგებელს პირიქით ბანკს.

სარგებლის განაკვეთს, რომელსაც ბანკი უხდის მეანაბრეს, სარგებლის ნომინალური განაკვეთი ეწოდება, ხოლო როცა უხდის ინფლაციის მი-ხედვით კორექტირებულ სარგებლის განაკვეთით, სარგებლის რეალური განაკვეთი. სარგებლის რეალური გა-ნაკვეთი უდრის სარგებლის ნომინა-ლურ განაკვეთს პლიუს ინფლაციის დონე.

სარგებლის ნომინალური განა-კვეთი გვიჩვენებს, თუ რა სისწრაფით იზრდება ბანკის ანგარიშზე მოთავ-სებული თანხის რაოდენობა დროის გარკვეულ მონაკვეთში, ხოლო სარ-გებლის რეალური განაკვეთი კი, თუ რა სისწრაფით იზრდება საბანკო ან-გარიშზე მოთავსებული თანხის მსყი-დველობითი უნარი დროის გარკვე-ულ მონაკვეთში. განვიხილოთ ასეთი მაგალითი. ვთქვათ, ვანომ ბანკში ჩადო 1000000 ლარი, საიდანაც ყო-ველწლიურად 10-პროცენტიან სარ-გებელს ღებულობს. ერთი წლის შემ-დეგ მას დაუგროვდება 100000 ლარი სარგებელი. ვანო თუ მოხსნის თანხას ბანკიდან მიიღებს _ 100000 ლარით მეტს, ე.ი. 1100000 ლარს. ვანოს ამ თანხით მეტი საქონლისა და მომსა-ხურების ყიდვა შეუძლია იმ შემთ-ხვევაში თუ საქონლისა და მომსახუ-რების ფასი შემცირდა, ხოლო თუ გა-იზარდა ბუნებრივია ნაკლების ყიდ-ვა. აქ მხედველობაშია მისაღები ისიც, თუ რა პროცენტით იზრდება საქონ-ლისა და მომსახურების ფასები. 10 პროცენტზე ნაკლებად თუ გაიზარ-და, მაინც იყიდის მეტი რაოდენო-ბით, მაგრამ 10 პროცენტზე მეტად გაზრდის შემთხვევაში კი ნაკლებს. უნდა აღინიშნოს, რომ აქ განსაკუთ-რებული მნიშვნელობა აქვს დროის ინტერვალში ფულის მსყიდველო-ბით უნარსაც.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი მიზნად ისახავს ცხოვრების საერთო დონის განსაზღვრას, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ «სამომხ-მარებლო ფასების ინდექსი", არ არის ცხოვრების საერთო დონის შეფასების სრულყოფილი მაჩვენებელი. ამ ინ-დექსთან დაკავშირებულია საკმაოდ რთულად გადასაწყვეტი პრობლემა. პრობლემა ის არის, რომ სამომხმა-რებლო ფასების ინდექსი გაიანგარი-შება სასაქონლო კალათის ღირებუ-ლების უცვლელობის პირობით, მომ-ხმარებლის მიერ ძვირადღირებული საქონლისა და მომსახურების ნაკლე-ბად ძვირით ჩანაცვლების გაუთვა-ლისწინებლად. სინამდვილეში ყოვე-ლი მომხმარებელი ცდილობს ყო-ველი ძვირადღირებული საქონლის, ნაკლებადღირებული საქონლის ჩა-ნაცვლებას. აქედან გამომდინარე, «სა-მომხმარებლო ფასების ინდექსი" აღ-ნიშნულის გამო ცხოვრების დონის ზრდას გაზვიადებულად გვიჩვენებს.

ამის საილუსტრაციოდ ავიღოთ ასეთი მაგალითი. ვთქვათ, საბაზისო წელს ფრინველის ხორცის ფასი სა-ქონლის ხორცის ფასზე გაცილებით ნაკლები იყო, მაშინ მოსახლეობა მე-ტი რაოდენობით ყიდულობდა ფრინველის ხორცს. ასეთ შემთხვე-ვაში, შრომის სტატისტიკის ბიურო სასაქონლო კალათაში უფრო მეტ ფრინველის ხორცს შეიტანს, ვიდრე საქონლის, მაგრამ არის შემთხვევაც,

როცა საქონლის ხორცის ფასიც შემცირდა და ნაკლები გახდა ფრინველის ხორცის ფასზე. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი შეამცირებს ფრინველის ხორცის მოხმარებას, ხოლო გაზრდის საქონლის ხორცის მოხმარებას. მაგრამ სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშებისას შრომის სტატისტიკური ბიურო, რადგან ეყრდნობა სამომხმარებლო სასაქონლო კალათის უცვლელობის პირობას, ამის გამო ბიურო უშვებს, რომ თითქოს მომხმარებელი აგრძელებს ძვირადღირებული ფრინველის ხორცის ყიდვას, იმავე რაოდენობით, როგორც მანამდე. ამის გამო «სამომხმარებლო ფასების ინდექსი", უჩვენებს მოსახლეობის ცხოვრების დონის მეტ ზრდას, ვიდრე რეალურად აქვს ადგილი.

services, employment, average life expectancy and mean duration of working day - should be considered.

For estimation of population life general level either "consumer price index" or deflator of gross domestic products (GDP) are used.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები, თბ., 2008.
2. ერჰარდ ლ., კეთილდღეობა ყველასაათვის. თბ., 2011.
3. მესხია ი., გაბელაშვილი კ. მოსახლეობის ცხოვრების დონე. თბ., 2004.

PARMEN LEMONJAVA

FOR THE ISSUE OF ESTIMATION OF POPULATION'S LIFE GENERAL LEVEL

S u m m a r y

It is impossible to express general level of population life by one particular national measure because it is well-illustrated by quantity and quality rating system.

Estimating general state of population life, level of education and culture development, medical and health resort service, environmental conditions, provision of housing, real income per one person, amount of food and industrial products, service range, structure, prices and trend, rates for municipal and transport